ხუთშაბათი, თებერვლის 20 1919 წ.

ფასი ათი შაური.

№ 22.

წელიწადი მესამე.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ცნობება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. 3 თვით 25 მან. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოეული არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 39.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ყოველ დღიური გაზეთ

„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ქნეინა ანა სვიმონის ასული ერისთავისა აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ სოფ. გორას ეკლესიაზე (ქუთ. მაზრა) შაბათს, 22 თებერვალს ახ. სტ. გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის თ—დი

გიორგი ალექსანდრეს ძის ერისთავის.

სულის მოსახსენებლად. 2—1

## განცხადება.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო ამით გატყობინებსთ, რომ 25 თებერვალს ახალი სტილით ქუთაისში საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის ბინაზე დილის 10 საათზე დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის ვაჭარ-მრეწველთა

## საზოგადო კრება

კრების მიზანი არის:

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ათი წევრისა და სამი მათი კანდიდატის არჩევა.

თანახმად საარჩევნო ინსტრუქციის მეორე პარაგრაფისა არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ვაჭარ-მრეწველს განურჩევლად სქესისა ხნოვანობით არა ნაკლები 21 წლისა, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ იანვრიდგან აღებული ექნება სავაჭრო მოწმობა.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო.

10 6

## პარტიული მუშაობა და არჩევნები.

ცუდია ის ჯარისკაცი, რომელსაც სარდლის ხარისხის მოპოვება არ უნდა. და ცუდია ის პარტია, რომელიც საკუთარი ზრდისათვის არა ცდილობს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია რომ იზრდება, ამ არჩევნებმა ცხადჰყო: ორგანიზაციების საკმაო რაოდენობა რომ გვყოლოდა, უეჭველია, სამჯერ-ოთხჯერ მეტ ხმას მივიღებდით.

და, სადაც ჩვენი ხმა მისწვდა, კიდევაც გავიმარჯვეთ. მხოლოდ იქ დავმარცხდით, სადაც ჩვენი ხმა არ ისმოდა.

ყოველი კუთხიდან გვითვლიდენ: მქადაგებლები და ორგანიზატორები მოგვაშველეთო. მაგრამ, სამწუხაროდ, ინტელიგენტთა დიდი უმეტესობა რუსეთულ ნიადაგზე აღზრდილი და მაშასადამე იდეურად გადაგვარებულია და მისდა ნაცვლად, რომ რეალურს, მიზანშესაბამს, ცხოვრებაში გამოსადეგ პოლიტიკას აწარმოებდეს, რასაც საოცნებოს უცნაურსა და უტოპიურს გამოჰკიდებია და დონკიხოტ ლამანჩელივით ქარის წისქვილებს ებრძვის. რუსების ბატონობამ სხვა სიკეთესთან ერთად ესეც დაგვიტოვა!

საბედნიეროდ ისეთი ახალთაობა გვეზრდება, რომელიც ორის, სამი წლის შემდეგ მომწიფებულ პროპაგანდისტებად გადიქცევა. მაშინ კი ეროვნული დემოკრატიის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

იმავე დროს, როგორც არა ერთჯერ მითქვამს, ცხოვრება პარტიებსაც და მთავრობასაც იქითკენ მიაქანებს, საითკენაც ეროვნული დემოკრატია უჩვენებდა და უჩვენებს.

მაგალითად, სოციალ-დემოკრატიას რეგულიარული ჯარის შექმნა არ უნდოდა. მაგრამ ცხოვრებამ ეროვნული დემოკრატიის აზრი გაამართლა და ახლა სოციალ-დემოკრატიული მთავრობაც იძულებულია შექმნას ჯარი.

სოციალ დემოკრატიას კერძო საკუთრების საძირკვლის შერყევა სწადდა. მაგრამ ეროვნული დემოკრატიის პროგრამისდა თანახმად სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამვე დააკანონა მიწების კერძო საკუთრებად გაყიდვა და უარჰყო მათი სოციალისტური პრინციპი.

ამგვარადვე უკუაგდებს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ყველაფერს, რაც სახელმწიფოს საფუძვლის გამაგრებას ხელს უშლის.

დიახ! ცხოვრება უფრო ძლიერია, ვიდრე მთავრობა, და ცხოვრების ჭკვლი მიაქანებს პარტიებს და არა პარტიები განსაზღვრავენ ცხოვრების მიმართულებას.

და როგორც ვსთქვით, ცხოვრებას თავისი ლოღიკა აქვს და არ ემორჩილება პარტიების მიერ შეთხზულ საოცნებოს, უტოპიურ ლოზუნგებს.

მეორე მხრით, პარტიებს თავისი ორგანიზაციული მუშაობით შეუძლიათ კიდევაც შეაფერხონ და კიდევაც გააძლიერონ ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა.

მაშ ერთს რასმე გვავალებს სამშობლო: შევქნათ შესაფერი ორგანიზაციები და შევიტანოთ ხალხში სინათლე.

საარჩევნო ციებ-ცხელების ხანამ გაიარა და ჩუმის, წყნარი მუშაობის დრო დადგა. და მხოლოდ ის მოიმკის, ვინც იმუშავებს.

მაშ არჩევნების შემდეგ დაძინება — დანაშაულად ჩაგვეთვლება! პირიქით, პარტიული მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ!

ყველა საზოგადოებაში პარტიული ორგანიზაცია უნდა შევკრათ და ყველგან უნდა მივაწვდინოთ ჩვენი ხმა.

თუ ასე მოვიქცევით, პირველ პარლამენტში, რომელიც დამფუძნებელი კრების შემდეგ შეიკრიბება, უმეტესობა ჩვენს პარტიას ეყოლება.

და მწამს, რომ ასეც იქნება: ჩვენი საქმე — ცოცხალი საქმეა და იქ, სადაც სიცოცხლეა, სიკვდილის მსგავს ძილსა და სიზანტეს ადგილი არ აქვს.

თუ ვიმუშავებთ, გავიმარჯვებთ!

ვასილ წერეთელი

## პრესა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებით სამარცხვინოთ დამარცხებული სოც. ფედერალისტები გულ-ნაღვლიანათ აღნიშნავენ იმ გარემოებას რომ ჩვენი ხმები იზრდება და არჩევნებში მეორე ადგილს ვიკავებთ.

ისინი გულს მაინც არ იტეხენ და ჰგონიათ რომ მომავალში გამარჯვება მათ ერგებათ, მაგრამ უნდა იცოდეს ჰაერში ჩამოკიდებულმა პარტიამ და მისმა ორგანომ რომ სოც. ფედერალისტობის ხანამ უკვე განვლო და ქართველმა ხალხმა ისინი გაიყა.

ხსენებული პარტიის ზრდა რევოლიუციის პირველ ხანში დასრულდა, ხოლო ამ დროიდან ისინი ისევ დაღმართში დაექანენ, და ჩვენში ყოველ დღიურათ ნიადაგი ეცლებათ. ამას ამტკიცებს უკანასკნელი არჩევნებიც. ამაში თვით სოც. ფედერალისტებიც არიან დარწმუნებულნი, მაგრამ თავიანთ წევრებს გული რომ არ გაუტეხონ, — კვლავ მომავლისაკენ იხედებიან, მაგრამ მათდა საუბედუროთ მომავალი მათთვის საბედნიერო იქნება.

ესეც კარგად იციან ფედერალისტებმა და პრესაში ჩვენს ძაგებას მოსდგენ, მაგრამ რა უნდა დააკლოს ლეკვმა აქლემს? ქუთაისელი ფედერალისტების ორგანოს „ხალხის მეგობრის“ სულის ჩამდგმელი აქილევსი ასეთი პროვოკაციით უმასპინძლდება თავის მკითხველებს:

ნაციონალ დემოკრატების ხმების ზრდა არაა გასაკვირველი. ისინი მოხერხებულად სარგებლობენ იმ პირობებით, რომელშიაც დღეს საქართველოა. ეს პარტია სახელმწიფოებრივი პარტია კი არაა, არამედ დემაგოგთა პარტია. იმ დროს როდესაც საერთო პირობების წყალობით საქართველო კრიტიკულ მომენტს განიცდის, ნაციონალ დემოკრატები ამ კრიტიკულ მომენტს სადემაგოგიო მასალათ იყენებენ და ნაცვლად იმისა, რომ ამ კრიტიკულ მდგომარეობას ებრძოლონ, მას აღრმავებენ. საქართველოსა და ხალხის კეთილდღეობა მათ იმდენათ აინტერესებთ, რამდენათაც განუსაზღვრელი იქნება ბატონობა ვაჭრებისა და თავად აზნაურობისა. ის ფაქტი, რომ ისინი ვაჭრობენ დღევანდელ კრიტიკული მდგომარეობით სამარცხვინო ლაქაა მათ შუბლზე. ჩვენს მთავრობას და მას მოღვაწეობას აბრალებენ მას რაც საერთო პირობებითაა გამოწვეული. ჩვენმა მთავრობამ იმაზე მეტი გააკეთა რაც მას შეეძლო და თავისი ფრთხილი მოქმედებით მრავალჯერ გადაარჩინა საქართველო დაღუპვისაგან.

ამ რიგათ უბრმავებენ მკითხველებს თვალს აქილევსები. მიუხედავათ ამისა, რომ მთავრობაში ჩვენი წარმომადგენელი არ არის და სოც.-ფედერალისტებს კი მთავრობას ჩვენ მეტ პატივს ვცემთ ვინემ ფედერალისტები, რადგანაც ვიცით, რომ ჩვენი მთავრობა არის მთავრობა ქართველი ხალხისა.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ფარისევლობას არ ვეწევით და ხალხს იმას ვეუბნებით, რასაც თვით მთავრობას, მაგრამ ასე არ იქცევიან ფედერალისტები: ქალაქებში ისინი ლაქიების როლს ასრულებენ. სოფლად კი მთავრობას და საქართველოსაც ძირს უთხრიან. გაიხსენეთ ლეჩხუმში ფედერალისტთა საარჩევნო კომპანია და დარწმუნდებით თუ რა ხალხია ჩვენი ფედერალისტები.

მაგრამ რის ფედერალისტები იქნებიან ისინი თუ ასე არ მოიქცევიან. მათ თაღლითობას და გამოურკვევლობას ქართველმა ხალხმა უკვე ალღო აულო და ფედერალისტებმა ამ ხალხისაგან შესაფერი პასუხიც მიიღო.

კარგი იქნებოდა ფედერალისტები მღელვარებას თავს დაანებებდენ და თავიანთ წევრებს გამოუცხადებდენ:

არ შეგვიძლია თქვენი მეთაურობა და თქვენი გზა მოსძებნეთ.

## სოც. დემოკრატიის ბატონობა ჩვენში!

მოგეხსენებათ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ჩვენი ქვეყნიდან სულ სოც. დემოკრატები მიდიოდენ. ეს არ იყო ბუნებრივი მოვლენა, არ იყო იმიტომ რომ საქართველოს მცხოვრებთა 98%, თუ მას სწორედ ექნება შეგნებული თავისი და თავის მეთაურების გზა და მიზანი, ისე ვერ მოთავსდებიან ერთად, როგორც ყინვა და ცეცხლი. ეს სალი ჭკუა გონებითაც და, წარმოიდგინეთ, მარქსისტული მოძღვრებითაც უდავო ჭეშმარიტებად არის აღიარებული. ეკონომიური მისწრაფება სოფლელი მესაკუთრისა, რა ქონებისაც არ უნდა იყოს იგი, სულ სხვაა, და სოც. დემოკრატიისა კი სულ სხვა.

ეს ერთი.

მეორე, ეროვნული პროგრამა, ან უკეთ რომ ვსთქვათ ეროვნული პროგრამის უქონლობა ხომ სრულიად შეუწყნარებელი უნდა ყოფილიყო ქართველი ერისათვის. მაგრამ ხალხი თუ მას მისდევდა წინეთ, ეს უნდა ავხსნათ იმით რომ წინეთ სოც. დემოკრატებს სოციალიზმის ჰაჰანებაც არ მოუხსენებიათ: მათ ხალხი მისდევდა, როგორც დემოკრატებს, და მხოლოდ, როგორც დემოკრატებს. დღეს კი, როცა დემოკრატიზმი ჩვენში სრულიად განხორციელებულია და ეროვნული საკითხიც გადაწყვეტილია არა მარქსის მოძღვრების თანახმად, რაღა ადგილი აქვს ჩვენში სოც. დემოკრატიას? რა ადგილი აქვს სოც. დემოკრატიას იქ, სადაც გლეხები ამბობენ: ხმა მართალია, სოც. დემოკრატიას მივეცით, მაგრამ ვაი იმას, ვინც სამანს შეგვირყევს. რა რიგ უნდა იყოს დახელოვნებული პარტია, რომ ამისთანა ქვეყანაში ხმების უმეტესობა შეაგროვოს? რა რიგ უნდა ატყუილებდეს იგი სოციალისტებსაც და დემოკრატიასაც რომ აქ ლელო გაიტანოს და ხომ გააქვს ჯერჯერობით თუმცა გაჭირვებით ეს ცხადია.

რა ნაირად ხდება ეს?

ვის და რა იარაღით ებრძვის სოც. დემოკრატია?

სოც. დემოკრატია ებრძვის ეროვნული დემოკრატიის სახით ჩამოყალიბებულ ქართველი ერის ნების ყოფას. და ებრძვის ყოველგვარი საშუალებებით. ასეთ ბრძოლაში ზნეობრივ პრინციპებს მაინცა და მაინც არავინ დაგიდევს, მაგრამ სოც. დემოკრატიას აქ განსაკუთრებული ალაგი უჭირავს. საქმე იმაში გახლავსთ, რომ მარქსიზმი, როგორც მოძღვრება უარს ყოფს არა მარტო კერძო საკუთრებას, არამედ მთელ მორალს ზნე ჩვეულებას, სჯულს, სარწმუნოებას ყოველივე იმ სულიერ კულტურას, რაც კერძო მესაკუთრეთა წრეებში შემუშავებულა მრავალ საუკუნოების განმავლობაში. ყოველივე ეს, მარქსიზმის აზრით, დასამხობია კერძო საკუთრებასთან ერთად.

სოც.-დემოკრატებს დაურწმუნებიათ ზოგიერთი გაუნათლებელი და გულუბრყვილო გლეხი იმაში, ვითომ და ეროვნულ-დემოკრატებს ბატონ-ყმობის აღდგენა სურსთ, ვითომ სურსთ აღდგენა ყოფილი თავად აზნაურთა უფლებებისა და ამით ბევრი დაუშინებიათ და თავის ბანაკში გადაუყვანიათ. ჯერ იყო და ფედერალისტებს ეძახდენ ბატონ-ყმობის პარტიას, მერე ბოლშევიკები ჩვენ სოც.-დემოკრატებს ეძახდენ თავად აზნაურობის და ბატონ-ყმობის პარტიას. დღეს, როცა ეროვნულმა-დემოკრატიამ იწყო გაძლიერება, ამ ცილის წამებას მიმართავენ ჩვენ წინააღმდეგ.

საარჩევნო კანონის დარღვევა ხომ სულ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა სოც.-დემოკრატების მიერ.

ქადაგობენ, რომ ვინც ეროვნულ-დემოკრატიას მისცემს ხმას, მას მიწას არ მივცემთო.

სვირში, ერთ საარჩევნო უბანში, ვინმე სერგო ბარბაქაძე და ისიდორე წაქაძე ემუქრებიან ხალხს, ვაი თქვენ დღეს, თუ ხმა ეროვნულ-დემოკრატებს მიეცითო, აგიკლებთო. ამბობენ სიაც შეუდგენიათ ფარულად ეროვნულ-დემოკრატებისო, ალბად რაღაცას აპირობენ ჩვენ წინააღმდეგო-ამბობენ სოფლელები. ეს არის თავისუფლება არჩევნებისა? ეს არის თავისუფლება რწმენისა და სინიდისისა? თუ ახლავე ამისთანა და ამაზე კიდევ, როგორც ცნობები გვაქვს, უარეს რასმეს ჩადიან დღესვე სოც.-დემოკრატები, რა იქნება შემდეგში, თუ ისინი გაბატონდენ ჩვენში საბოლოოდ.

რა სამოთხე იქნება ის სოციალიზმი, რომელსაც ეს ვაჟბატონები დაამყარებენ!

ქართველი.

## დამფ. კრების არჩევნების შედეგი ბაღდათში.

| | № 1 | № 2 | № 3 | № 5 | № 8 | № 9 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაღდათის საზოგადოება | 1390 | 413 | 23 | 126 | — | 5 | 2127 |
| ზეკარის საზოგადოება | 172 | 234 | 58 | 2 | — | — | 466 |
| კიკნაველეთის საზოგ. | 400 | 574 | — | 177 | 45 | — | 1196 |
| ობჩის საზოგადოება | 1408 | 126 | 13 | 88 | 1 | — | 1636 |
| სულ | 3370 | 1347 | 96 | 463 | 46 | 5 | 5335 |

ბაღდათის რაიონი გაყოფილი იყო ორ საარჩევნო რაიონად. ეს ცხრილი მხოლოდ ერთი ნაწილის არის. როგორც გადმოგვცეს, სოც.-დემოკრატებმა ბოროტება ჩაიდინეს. ყუთში ზედმეტი კონვერტები აღმოჩნდა. რაც შეეხება ობჩის საზოგადოებას იქ ეროვნულ დემოკრატებს თავისი წარმომადგენელი არ ჰყოლიათ.

## სტამბოლელი დელეგატები და ჩვენი დელეგაცია.

სტამბოლის გაზეთი „კონსტანტინეპოლში“ დაისტამბა წერილი „საქართველო და გერმანეთი“, რომელიც ამოღებულია სომხურ გაზეთ „დჟაგადამარტიდან“:

„საქართველოს დელეგაცია შესდგება სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი წევრებისაგან. ამ პარტიის ხელშია ამ ჟამად საქართველოს მთავრობა. ეს პარტია ცნობილია იმითი, რომ მას დიდი ხნიდან კავშირი ჰქონდა გერმანეთის სოციალ-დემოკრატიასთან. ამ **უძვირფასესი** (ხაზი დჟაგადამარტისაა) კავშირის წყალობით საქართველოს პოლიტიკურ აგენტებს საშუალება მიეცათ საერთაშორისო ომის დასაწყისში შეეკრა გერმანიის მთავრობასთან მალული ხელშეკრულება, რომლის წყალობითაც თუ რუსეთი დამარცხდებოდა გერმანიას უნდა აეძულებია რუსეთი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღეარებია. უკვე ცნობილია თუ როგორ ასრულდა ეს ხელშეკრულება ბრესტის ზავის შემდეგ, იმ დროს როცა სომხეთის მხედრობა კავკასიის ფრონტზე ომს აწარმოებდა, ქართველობა მხოლოდ ფორმალურად მოკავშირენი სომხეთისა მოქმედებდენ კულისებს უკან, რომ სომხების წინააღმდეგობა შეესუსტებიათ. ისინი, (ქართველები) ჩქარობდენ ჩაექრო მტრული განწყობილება ოსმალებთან იმისთვის რომ მალული ხელშეკრულება სისრულეში მოეყვანათ. ცნობილია ყოფაქცევა ქართველი გენერლის ოდიშელიძისა, რომელიც მაშინ ერზერუმის ფრონტს ხელმძღვანელობდა.

მიუხედავათ თბილისში სამხედრო კომიტეტის განკარგულებისა და სომხეთის გენერლების სურვილისა, რომ ბრძოლა გაგრძელებულიყო, ოდიშელიძემ მოახდინა ერზერუმის ევაკუაცია, როდესაც ამ ევაკუაციას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა.

ერზერუმის დატოვების შემდეგ ოსმალეთის მხედრობას საშუალება მიეცათ კავკასიაში შესულიყო. მიუხედავათ ამისა სომხობა დაუნდობლათ შეებრძოლა ოსმალებს და კიდეც დაასუსტა.“

ასე ახასიათებს სომხური გაზეთი საქართველოს დელეგაციას სტამბოლში.

## ახალი სომხეთის საზღვრები.

ამ სათაურით სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „რენესანსში„ 23 იანვრის თარილით დაიბეჭდა წერილი. ეს წერილი ინგლისურ გაზეთ „ტაიმს“-ის სტამბოლელმა კორესპონდენტმა ლონდონში გადასცა და თავის მხრით ის დასძინა, რომ ამ წერილში გამოთქმული აზრები ეთანხმება სრულიად სომხეთის კათალიკოზის რწმუნებულის პოღოს ფაშას აზრს, რომელიც ითვლება სომხეთის წარმომადგენლად პარიზის საზავო კონფერენციაზე და რომელმაც პირადათ მე დამარწმუნა ამაში.

წერილი ეხება იმ საკითხს, თუ როგორ და რომელ საზღვრებში უნდა მოეწყოს ახალი სომხეთი. „ზაკავკაზსკოე სლოვო“-მ გადაბეჭდა ეს წერილი, მაგრამ გამოტოვა სწორედ ის ადგილი, რომელიც ეხება სომხეთ საქართველოს საზღვრებს.

ამიტომ საჭიროდ მივაჩნია, ეს გამოტოვებული ადგილი ხსენებულ წერილისა აქვე მოვიყვანოთ. აი ის ადგილიც:

„რაც შეეხება საზღვრებს, უკეთუ დელეგაციის წინადადება იქნება მოწონებული, ახალი სომხეთი, რომელშიაც მოექცევა რუსული სომხეთი, ოსმალეთის 6 ვილაეტი და კილიკია, ე. ი. მცირე სომხეთი გაჭიმული იქნება შავი ზღვიდან ხმელთა შუა ზღვამდე. შავ ზღვაზე მდებარე სამსუნი თავის თავად ცხადია, დარჩება ოსმალეთს თავისი შინაგანი წესწყობილებით და აგრეთვე ანატოლიაც. ამ პუნქტიდან ზღვის ნაპირი ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტამდე შეადგენს სომხეთის სანაპიროს.

საქართველო სომხეთს შორის საზღვარი დაწესდება ტრაპიზონის—ერზერუმის ნავთსადგურის და ბათომს შუა, რომელიც (ე. ი. ბათომი) დარჩება საქართველოსთვის ზღვაზე გასასვლელ პუნქტად. ისტორიული თვალსაზრისით სომხებს არ აქვთ უფლება ტრაპიზონზე, მაგრამ ის ვიწრო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ამ ქალაქის ჩრდილოეთით არის შემაერთებელი ჯავი ზღვასთან და ეს იქნება ეკონომიური საზღვარი, რომლის სომხეთისათვის მინიჭებაზე უარს არ იტყვის არც ერთი მიუდგომელი კომისია. შავ ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთის საზღვარი სომხეთისა წავა აღმოსავლეთით — შეიერთებს არტაანს, ყარსს, ალექსანდროპოლს — ერევნის გუბერნიის ახლანდელ საზღვრამდე, სადაც სჭარბობს სომხობა. სამხრეთით სომხეთის აღმოსავლეთის საზღვარი მიაღწევს სპარსეთის საზღვარს ქურთების მხარემდე, აღმოსავლეთით და დასავლეთით გაყვანილი იქნება სადემარკაციო ხაზი, რომელმაც უნდა გაჰყოს და დიდათ დააშოროს რაც შეიძლება ერთმანეთს ქურთებისა და სომხეთის ტერიტორია. ამ ხაზის გაყვანა შეიძლებოდა ბითლისის და ვანის პროვინციებზე დიარბეკირამდე. სადაც უნდა დაწესდეს არაბეთის საზღვარი, დიარბეკირიდან კი სამხრეთ დასავლეთით ალექსანდრეტიდან ხმელთა შუა ზღვამდე. დასავლეთით საზღვარს შიგნით დარჩება მერსინა, ხმელთა შუა ზღვის ნაპირად მდებარე. იქიდან კი ხაზი გაივლის ჩრდილოეთით იმ პუნქტამდე, რომელიც იქნება სამსუნსა და ორდა შორის შავი ზღვის ნაპირად. ეს ხაზი კი შეადგენდა ახალი სომხეთის დასავლეთ საზღვარს“.

ს. ქ.

# ახალი ამბავი

ქუთაისი.

**არჩევნები ზუგდიდში.** ქ. ზუგდიდში ხმები უკვე დაითვალეს, სოციალ დემოკრატებმა მიიღეს 493 ხმა, ეროვნულ დემოკრატებმა 433 ხმა, ესერებმა 30 ხმა, ფედერალისტებმა 50 ხმა, [illegible] ბმა 1 ხმა.

◆ **დუშეთი** [illegible] ბენ: წინააღმდეგ ძალთა განწყობილებისა, ყუთში აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატების 167 ხმა, ფედერალისტების 444. ხალხი შედეგებით ყუთთანვე აღელდა. ხედავდა აშკარა სიყალბეს. მოვიდნენ ბიუროში, მოითხოვეს ახლავე გამეორება. მეორე დღეს ქალაქში პირველი ნომერის მიმცემთა დემონსტრაცია უნდა მოხდარიყო, ყუთი თვითმმართველობაში იდვა, სადაც ფედერალისტებია გაბატონებული ქალაქის თავის ინაშვილის მეთაურობით. საარჩევნო კომისიამ აღმოაჩინა ბოროტ-მოქმედება: ოთახის ჭერი გაჭრილი აღმოჩნდა, ახალი „ზამასკით“ და კირით შეკეთებული, ბანზე ახალი მიწა დაყრილი. ყუთის ფიცარი ძირიდან ნაწვალები. საარჩევნო კომისიამ შეადგინა აქტი, გადასცა მაზრის კომისარს და არჩევნები გაბათილებულად გამოაცხადა.

◆ **არჩევნები სოფლად.** ამაღლების საზოგადოებაში № 1 მიიღო 1618 ხმა №2 53, №3—4, №5—11, №63 №8—2, №9—2, გორის საზოგადოებაში №1 მიიღო 636 №2—194 №3—164, №5—341, №8—88, №9—4, №11—2. უხუთის საზოგადოებაში №1 მიიღო 766 №2—170, №3—6, №5—1, №8—9

◆ **თფილისის გამგეობის არჩევნები.** თებერვლის 17-ს სხდომაზე ქალაქის საბჭომ ქალაქის თავად ბ. ჩხიკვიშვილი აირჩია, მის ამხანაგად გ. კონიაშვილი. გამგეობის წევრად მასალკინი, ფინიაშვილი და ბესელიძე. გამგეობის მეოთხე წევრის არჩევა საბჭომ შემდეგი სხდომისთვის გადასდო.

◆ **პირდაპირი მავთული ევროპის სახელმწიფოებთან.** ინგლისის მისიის ხელმძღვანელობით და ხარჯით გაჰყავთ პირდაპირი მავთული დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოსთან. ლონდონსა, პარიზსა და სხვა ცენტრებთან ამ ახლო მომავალში იქნება გაყვანილი პირდაპირი მავთული.

◆ **ინგლისელ ოფიცრის სამართალში მიცემა.** სამართალში მისცეს ინგლისელი ოფიცერი, რომელმაც ფოთში ნება არ მისცა ჩვენი ჯარები გაეგზავნათ სოჭის ფრონტზე.

◆ **ვაჭრობის სამინისტროს ნაციონალიზაცია** ივნისის პირველ რიცხვებიდან დაიწყება ვაჭრობის სამინისტროს ნაციონალიზაცია. უკვე შედგენილია შესაფერი ტერმინოლოგია ქართულად.

◆ **საქართველოს ბანკის დაარსება.** ფულის ტრიალის გასაადვილებლათ, ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლათ და ფულის სისტემის მოსაგვარებლათ ახლო მომავალში დაარსდება საქართველოს სახელმწიფო ბანკი, რომლის ძირითადი თანხა იქნება 20 მილიონი მანეთი.

◆ **ფრანგი მეღვინეების ჩამოსვლა** საფრანგეთის მევენახეთა ფირმებმა საქართველოში გამოგზავნეს წარმომადგენლები კახეთში მამულის შესაძენათ, სადაც საცდელ ვენახს მოაწყობენ. განზრახულია ფრანგულ მეღვინეობის მოწყობა კახეთში ფართოდ.

◆ **დახჩობილის გვამი.** ქუთაისის პირველი წყალ გაღმა უბნის მილიციის უფროსმა იპოვა მდინარე რიონის პირას გამორიყული გვამი ქუთაისის მცხოვრების მაჭარაძისა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად დაიკარგა, მიცვალებულს პირში უნახეს ცხვირსახოცი და რამოდენიმე ჭრილობა ხანჯლით. ამ საქმას გამო დააპატიმრეს მისი მამიდაშვილი, რომელიც როგორც გამოირკვა შეპირებია მკვლელებს ორი ათას მანათს. ბრალდებული გაგზავნეს საგუბერნიო ციხეში.

**მეოცნებე ნიამორები.** მარტის შუა რიცხვებში გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის და ალექსანდრე ცირეკიძის რედაქტორობით „მეოცნებე ნიამორების“ მეორე წიგნი ლადო გუდიაშვილის სურათებით. ძველი თანამშრომლების გარდა მონაწილეობას მიიღებენ: ნიკო ლორთქიფანიძე, ლელი ჯაფარიძე, ივი ყიფიანი, გ. ლეონიძე, ნიკო მიწიშვილი და არჩილ მიქაძე.

**დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოსე გოცირიძე და ალექსანდრე მიქელაძე, რომელთაც ბრალდებათ ორპირის ქუჩაზე ჩოგოვაძის ფეხსაცმელების სახელოსნოს გატეხა.

ამავე პირებს ბრალდებათ კიდევ სამხედრო ჰოსპიტლიდან სხვადასხვა ნივთების მოპარვა 40,000 მან. ღირებული.

**საღამო.** ხუთშაბათს 20 თებერვალს ქალაქის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება საღამო, კერძოის კერძო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

**ქ. ხონი.** ქ. ხონში ცეცხლი გაუჩდა ლორთქიფანიძის და მდივნის სახლს, რომელიც მთლად დაიწვა. ხსენებულ სახლში მოთავსებული იყო ქალაქის გიმნაზია. ზარალი 300,000 მ. უდრის.

**მკვლელობა.** სოფ. გოდოგანში, ბოროტგამზრახველები თავს რაესხენ ადგილობრივ მცხოვრებს კონსტანტინე შუღლაძეს და მოკლეს. ეჭვით დააპატიმრეს ვლადიმერ ხოხიაშვილი და ნესტორ ბაკურაძე.

**სისხლის სამართლის მილიციამ** დააპატიმრა რომანოზ თვალიაშვილი, რომელსაც ბრალდება სუსანა ლორთქიფანიძის ოჯახიდან ვერცხლეულობის მოპარვა.

**მკვლელობა.** სოფ. ოჯოლში მოკლეს ალექსანდრე ბოგვერაძე.

**შაქრის მოპარვა.** ქ. ხონში კოოპერატივის სავაჭროდან მოიპარეს 18 ფუთი შაქარი, ღირებული 36,000 მან.

**გვთხოვენ გამოვაცხადოთ.** პორუჩიკი ვიქტორ იესეს ძე ლალიძე მსახურობდა ქ. ტაშკენტში, მე-9 ე თურქესტანის სამარტიო მოძრავ ბატარეიაში და ერთი წელიწადია მის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. ვთხოვ თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი წერა-კითხვის საზოგადოების სტამბა, რაჟდენ ვაჭრიძეს.

---

# პატარა ფელეტონი

### არჩევნების შემდეგ

(სცენა ერთ სურათად.)

მოქმედი პირნი:
1. **სოც. დემ.** პარტიის თავმჯდომარე ახალგაზდა ყმაწვილი. ნოქარი.
2. **რაბი** — ებრაელების წარმომადგენელი.
3. **მუჭაიძე** — მოხელე.
4. **ღლეტია** — ძველად ცნობილი ბოროტმოქმედი.
5. **მკლავაძე** — შეიარაღებული ყმაწვილი. ყოფილი ჯ.-კაცი.
6. **ჭორაძე**: ყოფილი კატორღელი.
7. **წუმპაძე**: საარჩ. კომისიის ინსტრუქტორი.
8. **ხმები.**

მოქმედება სწარმოებს სოც.-დემოკრატების პარტიულ კლუბში. კარები ჩაკეტილია. გარეშე პირთა შესვლა, აკრძალულია.

სცენაზე გამოდის თავმჯდომარე.

**თავმჯდომარე**: ამხანაგებო! აღფრთოვანებით უნდა გაცნობოთ რომ არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვეთ. მართალია ბევრი ხმები დაგვაკლდა, მაგრამ არც ესფერებსა და ესერებს დაადგათ კაი დღე. ეს პარტიები სრულიად ჰქრებიან, როგორც თაფლის სანთელი. ყველა სოციალისტურ პარტიების ხარჯზე მრავლდება ეროვნული დემოკრატია, მაგრამ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ და ვსწეროთ, რომ ისინი მრავლდებიან მხოლოდ ესერებისა და ესფერების ხარჯზე.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივიღოთ უკიდურესი ზომები, რომ ეროვნულ დემოკრატების ზრდა შევაჩეროთ, არ უნდა დავერიდოთ არავითარ საშუალებას და დარწმუნებული ვარ რომ ჩვენ ამას შევსძლებთ.

როგორც ვსთქვით, ჩვენ არჩევნებში ავათ არის თუ კარგად, გამარჯვებული გამოვედით და რა საშუალებით ამას მოვისმენთ სხვა და სხვა მომხსენებლებიდან.

**რაბი**: ისე იცოცხლეთ საქმე პრილიჩნათ მიდიოდეს. იმ დღეს რჯულის მადლმა ჩვენი კვარტალიდან ერთი ორასი ეკიპაჟი პერვოი ნუმერი გამოგიგზავნეთ. მეტი ეკიპაჟი ვერ ვიშოვე, თორემ ყველა ისრაელებს პერვოე ნომრის ყუთებში ჩავყრიდი. ჩვენ ვადაი ყველა პროლეტარები ვართ. ეეე სკუპოი ხალხია ურიები თორემ იცოცხლეთ სლუჩაინოთ ისინი პროლეტარები იყვნენ.

მომეც აკურატნობას, ჩემს ძველ წვერებს და სიწმინდეს გფიცავთ ჩვენო მხნეებო,-მთელი მირის პროლეტარებო, როცა თორაში ლოცვად დავდგები, მოვყვები თქვენს ქება დიდებას. იმ დღეს რჯულის მადლმა ჩვენს ხალხს ობმანივაიტ ვუყავი. ვუამბე ვითომც მე მოშე გამომცხადებოდეს და გადმოეცეს: ვინც პერვი ნომერს არ მისცემს ხმას, ისინი სამოთხიდან განდევნილები იქნებიან. ჩემი სიტყვები ვადაი დაიჯერს და იხრიალეს, რომ სიკვდილამდის პერვოი ნომერს არ დაივიწყებენ.

რჯულის მადლმა დემოკრატების გამარჯვებაში პერვოი მესტო მე მიმიძღვის. ეხლა სლუჩია დადგა და თუ არ გეწყინებათ, ნაგრადიან „ნაჩაი“ მიბოძეთ მოშეს...

**თავმჯდომარე**: ჰო, კარგი, თქვენი იმედი გვაქვს... ეხლა მოუსმინოთ მუჭაიძეს.

**მუჭაიძე**: სინდისს, პატიოსნებას და პროლეტარის ღირსებას გფიცავთ, რომ ეს ურია სტყუის. ნაგრადი მაგას კი არა მე მეკუთვნის. ურიებში როგორც პროფესიონალური მაწანწალა მხოლოდ მე დავძრწოდი. ურიის ქალებს ყუთებისაკენ მე ვგზავნიდი. ბევრს მათგანს რომელიც იწვნენ, კაბა და ტუფლები მე ჩავაცვი. ბევრს ფეხებიც კი დავბანე, რომ ყუთებისაკენ წამოსულიყვნენ. რაბი სტყუის. მე პროტესტს განვაცხადებ საქვეყნოთ მაგას თუ ნაგრადზე წარადგენთ.

**თავმჯდომარე** დამშვიდდი ამხ. მუჭაიძე. სანამ ჩვენი მთავრობა იქნება თქვენისთანა ერთგული მუშაკი ყოველთვის დაჯილდოვებული იქნება.

**ღლეტია**: მე ამხანაგებო ჩაბარებული მქონდა ყალბი პიროვნების ბარათები. 98 ბარათები მე ყველა გავანაღდე. თითო კაცი ყუთთან ოცჯერ მივაგზავნე. პირველი ნომრებით. მე რომ ასეთი ღლეტიო არ მომეწყო საქმე ჩვენ უსათუოთ დავმარცხდებოდით.

**თავმჯდომარე**: ყოჩაღ, ყოჩაღ ამხანაგო ღლეტია. თქვენი სახელი სოც.-დემოკრატიული პარტიის ისტორიაში დაუვიწყარი იქნება.

**ღლეტია**: მეც ამის იმედი მქონდა და მისთვის გავსწიე ასეთი რისკი.

**მკლავაძე**: მე იცით რა ჩავიდინე? იმ ეზოში, სადაც ყუთი იდგა სხვა პარტიების წარმომადგენლები სულ არ გავაჭაჭანე. ამომრჩევლებს თან მოჰქონდათ უმეტეს შემთხვევაში მეორე ნომერი, მაგრამ მე ასეთ ვაჟბატონებს ნაგანით ვაფრთხობდი და შეშინებულნი ყველა პირველ ნომერს ჰყრიდენ ყუთში.

**ჭორაძე**: ეგ კიდევ ცოტაა. მესოფლად დავდიოდი, თქვენთვის წარმოუდგენელია თუ როგორ ემხრობოდენ გლეხები ერ.-დემოკრატებს, მაგრამ მოგეცათ სიცოცხლე მე მათ დღე დავაყენე. მოვსდექი პროვაკაციას, დემაგოგიას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. გლეხები დავარწმუნე რომ ერ.-დემოკრატები მოღალატეები არიან, მამულის გამყიდველნი, ბევრ ადგილას გლეხები დავაჯერე, რომ ეს პარტია კერძო საკუთრებასაც კი ებრძვის. ერთი სიტყვით ასეთი ჭორებისათვის რომ არ მიმემართა, ჩვენი საქმე ცუდათ წავიდოდა.

**თავმჯდომარე**: მე კმაყოფილი ვარ ყველა მოხსენებით, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგონე: არავის არ უთქვამს მოახერხეს თუ არა ყუთებში ჩვენი ბიულეტენების ჩუმათ ჩაყრა.

**წუმპაძე**: ეს ამხანაგო თავმჯდომარე დესერტათ გვქონდა შენახული. იცოცხლეთ ჩვენი ბიულეტენები ოხრად ჩავყარეთ, მაგრამ ერთი მარცხი მოგვივიდა: სოფ. ხრესილში როდესაც ჩვენი განზრახვა უნდა შეგვესრულებია,—ეროვნულ-დემოკრატებმა შეგვიტყვეს და საქმე ჩაგვიშალეს.

**თავმჯ.**: თუ იცით საჩივარი ხომ არ აღუძრავთ ამის შესახებ?

**წუმპაძე**: საჩივარი?

**თავმჯ.**: ჰო ხომ არ გაუსაჩივრებიათ?

**წუმპაძე**: რას გახდებიან მერე. განა ისევ ჩვენთან არ უნდა იჩივლონ? რა გამოუვათ მერე ამ საჩივრიდან?

**თავმჯ.**: არაფერი, მაგრამ ხალხი გაიგებს ჩვენს თაღლითობას.

**ხმები**: რას გვიქვია ხალხი. ხალხიც ჩვენ ვართ და საქართველო კიდევ სოც.-დემოკრატიული პარტიაა.

**თავმჯ.**: დიწყნარდით ამხანაგებო. უკვე დრო გადავიდა და რაიმე რეზოლიუცია უნდა გამოვიტანოთ.

შემოდის ასეთი რეზოლიუცია:—

„მოვისმინეთ რა ამხანაგების მოხსენებანი, სრულიად დავკმაყოფილდით; გვწამს, რომ ძალა ჩვენ ხელთ არის და უფლებაც გვაქვს ხალხს ისე მოვექცეთ როგორც ჩვენი საკუთარი გამჭრიახობა გვიკარნახებს. ამხანაგებს კვლავ ევალებათ განაგრძონ დაუნდობელი ბრძოლა, არ დაერიდონ პროვაკაციის გავრცელებას, ოღონდ ხალხის უმეტესი ხმები ჩვენს ყუთებში მოთავსდეს. ამხანაგები: რაბი, მუჭაიძე, ღლეტია, მკლავაძე, ჭორაძე და წუმპაძე წარდგენილ იქნენ უმაღლეს ჯილდოზე. კრებამ რეზოლიუცია ერთ ხმად მიიღო.

ისკანდერ. ბეგ.

---

## ახალი ლოცვა.

**ესკიზური თქმა ჩემს ნ. ნ-ს.**

მე მიყვარდა ეროსი.

ჩემი სიყრმის წელთა ლამაზი რიცხვი იყო შეუწყვეტელი კურთხევა ეროსის სახელისა.

მე განვიცადე ეროსის სილამაზე, მისი მშვენიერი ძალა.

ეროსის წმინდა ტაძარში მე ბერის ყურადღებით ვისმენდი გრძნობიერ ლოცვას და ვიწოდი მით.

ეს იყო წარსულში.

წარსულის უეიწყი სიტყვა მკვეთრი არის ამის მოწმე.

მაგრამ ყრმობაშივე გადატყდა სული... ეროტიული ლოცვის ხმა იდუმალი ხამარადისოდ მიყუჩდა...

და ეროსის ტაძრის ნანგრევზე დიონისემ აღმართა ახალი სამლოცველო გიჟური-ვნების.

ვნების ახმაურებაში დაიწვა ჩუმი ეროსი.

გრძნობა ვნების ძალამ შესცვალა.

ეროსის იდუმალ განცდას დასცინა დიონისემ და იდუმალ განცდას ჩვეული სული გიჟური განცდის ცეცხლით აზიარა.

სულმა შეითვისა და შეიყვარა ძლიერი დიონისე.

ეროსის საყვარელ სახეებს დიონისის ძალით დაპყრობილმა სულმა სიცილით უკანასკნელი სიმღერა უთხრა.

წარსულის სიმშვიდემ მიიბარა ძველი სიყვარული და დავიწყე ახალი სახის ხარბად ძიება.

დიონისემ აახლაპრა ქალის სხეული და მას უმღერა

პირველი ქება.

და ვიწყე ძიება სხეულისა.

შენ შევხვდი სწორედ ძიების დროს.

ეს იყო შემთხვევით.

შენში ვიხილე დიონისური სულის დამთრობი ცეცხლი უშრეტი,

სისხლი მღელვარე და შენი სხეულის ჰარმონიულ რხევაში ვნების ძალის ამოძრავება განვიცადე.

შენ შეიქმენ ძალად, რომელიც მე შევიყვარე.

შენ დაიწვი ჩემი განცდის შეცნობით.

გავიცანით ურთ -ერთი.

შენ იყავ მორცხვი, თითქოს [illegible] ჩემი, თითქოს იყავ მთის ასული, რომელმაც პირველად იხილე ქალაქის ჭუჭყით დასვრილი გული.

მე გიწვევდი შენ ვნებიან წვისაკენ.

შენ გაკვირვებდა ჩემი თამამი—თქმა.

მე ვნახე შენში უცნაური შიშის ასული.

და გაამართლე შენ ჩემი აზრი: შენ მართლა მთის ასული ყოფილხარ, შენგან შორს არის ვნებიანი ყოფის ფარდა ახდილი სურვილი.

შენ დაბადე ჩემში სურვილი.

მე გეტყვი მოკლედ: მიყვარს შენი შიშიანი თვალები და მორცხვი გადმოხედვა.

შენ უფრო ლამაზი იქნები მორცხვობით ვნების წყურვილის დათრობის წუთში.

მე მინდა ის წუთი გიჟური განცდისა'

მანამდი კი იყავ კვლავ ტყეში და ეზიარე ტყის ფარული სილამაზით, მე უფრო შევიყვარებ მორცხვობაში მღელვარე შენს სხეულს.

მე სიყვარულით ახალ ლოცვას ვეტყვი მას.

მ. ლვამიჩავა.

---

## უ ც ხ ო ე თ ი.

(საქარ. დეპ. სააგენტო)

**გერმანული პრესის ცნობები.**

დროებითი ზავის ახალ პირობებით რამდენიმეთ შეცვლილია მარშალ ფოშის მიერ წამოყენებული პროექტი. მაგალითათ, სადემარკაციო ხაზი ისეა შეცვლილი, რომ ზემო შლეზიენი და ბრომბერგი ხაზის დასავლეთით რჩება, ერნბაუმი კი სადემარკაციო ხაზის აღმოსავლეთით რჩება. ვარშავაში მყოფი მოკავშირეთა კომისია თავის თავზე ღებულობს აღმოსავლეთში მყოფ გერმანელთა დაცვას. მე 2 მუხლის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ დროებითი ზავი მოკლე ხნითაა განახლებული, მინისტრი ერცბერგი შეეკითხა, რით აიხსნება მოკლე ვადის დადება და ამიტომ საფიქრებელი ხომ არ არის, რომ წინასწარი ზავი მალე შეიკვრება. მარშალმა ფოშმა უპასუხა: „მე მგონია“ და შეეკითხა, რატომ ზღვაში არ გადის ის სავაჭრო გემები, რომელთაც სურსათი უნდა შემოეტანათო. შემდეგ მარშალ ფოშმა წინადადება წამოაყენა, რომ ექსპერტები დაუყოვნებლივ შეიკრიბონ სპააში ხელმეორეთ, რათა განაგრძონ წვრილმანების განხილვა. მინისტრმა ერცბერგმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ 3 ეკონომიური ხელშეკრულება (ფინანსიური, სურსათი და ნოვოსნობის) ერთმანეთთან მჭიდროთაა დაკავშირებული. მარშალ ფოში ერცბერგერს დაეთანხმა.

კვირას, თებერვლის 16, ბერლინში დემონსტრაციები არ მოხდარა. შაბათს საღამოთი დააპატიმრეს კომუნისტების 29 ბელადი. ეგრეთ წოდებულ „წითელ ჯარისკაცთა საბჭოს“ ჰქონდა ფარული სხდომა, რომელზედაც უნდა ეთათბირათ კვირისათვის დემონსტრაციების მოწყობაზე. პოლიციამ და მთავრობის ჯარმა შესძლო ამ კრების აღმოჩენა და ამნაირათ, შეუძლებელი გახდა დემონსტრაციების გამართვა. სამწუხაროდ, როდესაც იმ ადგილს, სადაც ფარული კრება ხდებოდა, გარს შემოერტყნენ, მოხდა მცირე შეტაკება, რომლის დროსაც ერთი მოქალაქე მძიმეთ დაიჭრა. ბელადების დაპატიმრების შემდეგ სპარტაკელებმა ველარ გაბედეს კვირას გამოსვლის მოწყობა.

**ფრანგული პრესის ცნობა.**

საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ვოლენის კლუბში მაიღო ამერიკის სასურსათო მინისტრი ხუვერი, რომელმაც თავის მგრძნობიარე სიტყვაში სთქვა, რომ საფრანგეთის დაპყრობილ ოლქებში გერმანელები ცუდათ იქცეოდნენ, მცხოვრებთ საქონელს და ჭირნახულს ართმევდნენ და ქალებს და ბავშვებს საჭმელი არ მოეპოვებოდათ. გერმანელების მხრით მონანიება არა სჩანს და ათასი წლის განმავლობაში 70 მილიონმა გერმანელმა, რომ ღვაროს ნიობეის ცრემლები, მაინც ვერ დაფარავენ იმ უბედურობის კვალს, რომელიც ბელგიაში მოახდინეს. დასასრულ ხუვერმა განაცხადა, რომ გერმანელებმა ჩადენილი ბოროტება უნდა გამოასწორონ და ბელგიიდან და ჩრდილოეთ საფრანგეთიდან გაყვანილ საქონლის ღირებულება აანაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაურონ. საკმარისი არ არის ფულის გადახდა, რადგან მარტო ფულით ვერ გამოვკვებთ ბავშვებს.

**ბოლშევიკების ცნობები**

**მოსკოვი.** 17 თებ. ჩრდილოეთის ფრონტი არხანგელის რაიონში მდ პინეჩის ველზე მოწინააღმდეგეს სიმრავლის გამო ჩვენმა ნაწილებმა უკან დაიხიეს. პსკოვის რაიონში მოწინააღმდეგემ შეავიწროვა ჩვენი ნაწილები. ჩრდილოეთის ფრონტი. სუვალკის მიმართულებით გერმანიის ჯარმა დაიჭირა ოლიტა. დამატებითი ცნობების თანახმად სარნის დაჭერის დროს ბელორუსთა წითელმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 13 ზარბაზანი, 50 ტყვიისმფრქვეველი და ერთი ვაგონი დატვირთული თოფებით. მილუროვის მიმართულებით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ორენბურგის რაიონში აქტიუბინის მიმართულებით დავიჭირეთ გრიგორიევსკაია და უგოლნაია. ორენბურგსტერლიტომის რაიონში რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. უფის მიმართულებით ბრძოლით დავიჭირეთ რამოდენიმე სოფელი. სარაპულის მიმართულებით ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი ყუმბარებით. ოსის სამხრეთ აღმოსავლეთით ძლიერი ბრძოლაა. ნაუენი. თებ. 16, რადეკის დაპატიმრების გამო სპარტაკელები კვირისთვის გამოსვლას აწყობდენ. მთავრობამ წინააღმდეგობა გაუწია მათ. ვარშავა. თებ. 11. უკრაინელები პოლონეთის ფრონტზე ავრცელებდენ ფურცლებს, რომელშიაც პოლონეთის გლეხებს, მუშებს და ჯარის-კაცებს მოუწოდებენ გაილაშქრონ მემამულეებისა და მექარხნეების წინააღმდეგ, რომელნიც უკრაინის საკუთარ ინტერესებისთვის იბრძვიან. ნაუენი. თებ. 16. ფელდმარშალ ჰინდენბურგმა გამოუშვა მცხოვრებთადმი მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს ებრძოლონ ბოლშევიზმს. რიგა. თებ. 11. ლიტვიის არმიის სამხედრო ცნობა. მარიენბურგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახევია კოიკიულ კაივოლას ხაზზე. რიგა-მიტავის რკ. გზაზე მოძრაობა აღდგენილია. ნაუენი. 17 თებ. ქ. კარლსრუეს მუშებმა სახავო კონფერენციას პროტესტი განუცხადეს იმის გამო, რომ მოკავშირენი ანადგურებდენ გერმანიის მეურნეობას. ბერლინი. თებ. 11. სპარტაკელთა გავლენა გერმანიის მუშებზე და ჯარისკაცებზე იზრდება. მოელიან ახალ შეიარაღებულ გამოსვლებს. მთავრობის წრეები და ბურჟუაზიული პრესა შიშობს მოძრაობის გაძლიერების გამო და ადიდებს მთავრობის ჯარის რიცხვს.

**რეიტერის სააგენტოს ცნობები.**

**ლონდონი.** პრეზიდენტმა ვილსონმა თავის სიტყვაში, რომელიც ორშაბათს წარმოსთქვა დეპუტატთა პალატაში, სთქვა: უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში მოხდა ის, რამაც შთააგონა ყველას თავისუფალ კავშირის შექმნის აუცილებლობა იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც რეინის იქით მდებარეობენ: გერმანიის, პოლონეთის, რუსეთის და აზიის. არის კითხვები, რომელზედაც ახლა პასუხის გაცემა არ შეიძლება. საფრანგეთი ჯერ კიდევ სდგას საფრთხის წინაშე და თუ ის მარტოთ დარჩება, მაშინ იძულებული იქნება მუდამ შეიარაღებული იყოს, თავის ხალხს დიდი გადასახადები დაადვას და მსხვერპლი გაიღოს; ეს აუტანელია არა მარტო საფრანგეთისთვის და ამიტომ ყველა სხვა ერიც შეიარაღებული და მზად უნდა იყოს მოსალოდნელ უსამართლობის წინაშე. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქვეყნის მმართველნი ფიქრობდნენ მხოლოდ მთავრობაზე და სრულიად არ ფიქრობდნენ ხალხზე. ის, რაზედაც უნდა ეფიქრა მათ, იყო: მცხოვრებთა კეთილდღეობა, მათი სახლების დაცვა და ზრუნვა მათ ბედნიერებაზე. ახლა მათ იციან, რომ ერთად ერთი საშუალებაა მიაღწიონ ამას, არის საფრანგეთის თავისუფლების დაცვა, ან და იმ სახელმწიფოსი, რომელსაც ემუქრებიან.

ხალხთა ლიგის კომისიამ დღევანდელ სხდომაზე იმსჯელა მუშაობის გაუმჯობესების მეთოდების შესახებ. ყველამ გაიზიარა ის აზრი, რომ საკითხები რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს განხილული.

ომის კანონების დარღვევის კომისიის დღევანდელ სხდომას დაესწრნენ დიდ სახელმწიფოთა ყველა წარმომადგენელნი ბელგიის, რუმინიის, სერბიის, პოლონეთის და საბერძნეთის წარმომადგენლებთან ერთად. თავმჯდომარეთ არჩეულ ლანსინგის წინადადებით დანიშნეს სამი ქვე კომისია: ერთი ფაქტების გამოსარკვევათ, დანარჩენ ორმა კი უნდა გამოარკვიონ ომის კანონების დარღვევისთვის სასჯელი.

## ღია წერილი

**ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის სადმი.**

როდესაც თქვენ ქალაქის ხმოსნები ორი წლის წინეთ ამოგარჩიათ ქუთაისის მცხოვრებლებმა, მეგონა აწი მაინც ქალაქის საქმეებს ეშველება, ის, რაც წინანდელმა თვითმართველობამ ვერ გააკეთა რაც აუცილებელი იყო გაკეთებულიყო ქალაქის მეურნეობაში, აწი მაინც ახალი თვითმართველობა უსათუოთ გააკეთებს, ცოტათი მაინც შეიტანს მეურნეობაში გაუმჯობესებასთქო. მე ეს მჯეროდა, მაგრამ სულ უარესათ მიდის ქალაქის საქმეები, რა დარგიც უნდა ავიღოთ. ეხლა მოახლოვდა ქალაქის არჩევნები და ჩემს თავს ვეკითხები: მე, როგორც ძირითად მცხოვრებმა, ამოგირჩიოთ კიდევ ქალაქის ხმოსნებათ თუ არა 4 წლის ვადით? ამ კითხვამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თუ კიდევ ხელ მეორეთ ამოგირჩიეთ, გუბერნიის ქალაქი არა თუ დაემზგავსება ევროპიულ ქალაქს, იგი ბევრათ ჩამორჩება იმ აზიურ ქალაქებს რომელშიდაც კულტურის ნიშანი არ მოიპოვება.

თქვენ იტყვით: ეს ცილის წამება არის, საარჩევნო ბრძოლის იარაღია., არა. მე მალაპარაკებს ის მწარე გაკვეთილები, თქვენმა მოქმედებამ რომ დაგვანახა. მაშასადამე დამრჩენია დავამტკიცო თქვენი მოღვაწეობის შედეგები:

ავიღოთ სანიტარული ნაწილი: ხომ ხედავთ, რომ ქალაქის ქუჩები გაივსო ნეხვით, მძორით და ყოველ გვარი სიბინძურით და თქვენ ეს ვერ მოგიხერხებიათ რომ ეს სიბინძურე, ეს მავნებელი მდგომარეობა მოგესპოთ. ნუ თუ „ამხანაგებმაც“ ვერ შეგნიშნესთ, არ გირჩიესთ რაიმე ზომა, რომ ეს ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობა უკუგექციათ? ხომ იცით რომ მარტო დემოკრატობა არ კმარა, არამედ საქმის კეთებაა საჭირო? ახლა მე გეკითხებით როდესაც ქუჩები და მოედნები ვერ გაწმინდეთ ნაგვისაგან, სხვას რას გააკეთებთ? წყალ-სადენზე, განათებაზე და სხვა მეურნეობაზე რა იმედი მექნება თქვენგან? ვაი თუ თქვენც წილი გიდევსთ დღევანდელი მძინვარე სენის გაღვივებაში!

ქალაქის სავაჭრო მოედნებს თქვენ არავითარი ყურადღება არ მიაქციეთ. ავიღოთ წყალ-გაღმა, ორპირის და ბაღის ქუჩებშუა მოედანი.

ეს მოედანი სრულიათ მოცულია სიბინძურით, თქვენ იქნება არ იცით როდესაც მიხრან ანანოვი დაიჭირეს, მისი გამოსასყიდლათ 50,000 მანეთი ამ მოედანზე დათვალეს, რადგან იქ სრული სიბნელეა. დამე რომ გაიაროთ ამ მოედანზე შიშით ბალანი აგებუძგებათ, და გეკითხებით: ნუ თუ ერთი სანათი ელექტრონის ლამპაც ვერ დადგით? ამ მოედანზე შემოქონდა სოფლის მცხოვრებლებს თავიანთი ნაწარმოები, ეხლა კი ესეც მოისპო, რადგან სოფლელმა ნაგავში ვერ მოათავსა სურსათი.

ამ მოედანმა სრულიად დაკარგა თავის დანიშნულება. აქ ყრია ყოველგვარი დამტვრეული დროგები, ურმები, წვიმის დროს დაუშრობელი წუმპეები სდგას. ქვაფენილი ოღრო-ჩოღროთ იქცა, ზედ დიდი ეკლარის ქვები ყრია და ადგილს იკავებს, დერეფანის სახურავი სულ დალპა და წვიმისა და თოვლის დროს სოფლელი თავს ვერ შეიფარებს, ხშირათ მოედანზე პირუტყვების შესახებ საბეითლო ექიმობას ეწევიან: დაჭედვა, სისხლის გართმევა, დასაჭურისება, ყველა ესენი აქ ხდება, როდესაც ეს აღკრძალულია ქალაქის სავალდებულო კანონებით. მე გეკითხებით: ნუ თუ ერთხელაც ვერ გამოდით მოედანზე და ვერ მიიღეთ ზომები, რომ ეს არა ნორმალური მდგომარეობა უკუგექციათ? კიდევ გეკითხებით: სოფლელმა რომ რაიმე ნაწარმოები მოიტანოს რაზე აწონოს? ეს სასწორი ვინ წაიღო?

მართალია ამ ორი წლის განმავლობაში არა სასურველი პირობები შეიქნა თქვენი მუშაობა მოღვაწეობის დაგვირგვინებისათვის, მაგრამ ნუ თუ ისეთ პირობებში, რომ ცოტა რამე მნიშვნელოვანი საქმეც ვერ გააკეთეთ. მაგ. თქვენ რომ წამოხვიდეთ თეთრი ხიდიდან (ბესარიონ წერეთლის ძეგლიდან) მარცხნივ, და პირველვე გვერდის ქუჩაზედაც დაინახავთ ისეთ ოღრო-ჩოღრო ადგილებს, რომ უსათუოთ კაცი წაიქცევა. მე გეკითხებით: არ ხართ ვალდებული, რომ ამაზე მიგექციათ ყურადღება?

საკითხავი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ ჯერობით ესეც კმარა.

ერთი სიტყვით, ქალაქის მცხოვრებლებმა თუ კიდევ თქვენ ჩაგაბარათ, ქუთაისის საქმეები, ქუთაისი დაიღუპება.

**ადგილობრივი.**

## კორესპონდენცია.

**ხ. დიმი** ამ ბოლო დროს სოფელში გახშირდა სახადი. რამდენიმე ოჯახი მთლად ამოსწყვიტა. კაცი მშველელი არ არის, ფერშლები, რომელთაც მისი არა გაეგებათ რა, ეშინიათ მიკარება. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, მთელ სოფელს მოედება ეს სახადი.

აქაურ ხალხს, ადგილობრივ „კოოპერატივის“ დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ იქ უფრო ძვირად იყიდება საქონელი, ვინემ კერძო სავაჭროში.

მთელი ამ სოფლის შემოსავალი დამყარებულია ვენახსა და სიმინდზე. გასულ წელს სიმინდი იმდენი არ მოსულა, რომ სოფელი წლის ბოლომდის გამოკვებოს. ღვინის ფასი საპანეზე ათას და ათასორას მანეთზე ადის.

არჩევნებში ხალხმა დიდი გულგრილობა გამოიჩინა. 1115 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 393 ამომრჩეველმა.

ხალხი ირკვევა, ის თანდათან იგებს თუ ვინ და რომელი პარტია არის მისი ინტერესის დამცველი. მაგრამ საუბედუროთ არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომ ნათლად აუხსნას ხალხს თუ ვინ არის მისი მოკეთე.

ნაწილმა ხალხისამ სრულიადაც არ იცოდა რისი არჩევნები იყო და ერთმანეთს ეკითხებოდენ.

სოციალ დემოკრატების მხრივ პროპაგანდისტათ იყო ერთი ადგილობრივი ახალგაზრდა ვაჟარი, რომელსაც დარწმუნებული ვარ არც ჰქონდა წაკითხული პროგრამა თავის პარტიისა. ხალხში თამამად გაიძახოდა. „სოციალ დემოკრატია ეს კერძო საკუთრების დამცველი პარტიაა, მან საბოლოოთ დაუსაკუთრა გლეხებს მიწა, მუშა ხალხი იმის მეტს ხმას ვერვის მისცემს“ და სხვა მრავალი სიცრუე.

კანონისამებრ ყუთთან აკრძალული იყო ბიულეტენების მიძღვნა, მაგრამ განა სოც. დემოკრატებისთვის კანონი არსებობს? როდესაც გლეხები ჯგუფად გაჩერებული იყვნენ საარჩევნო შენობაში, და არიცოდენ ვისთვის მიეცა ხმა, მაშინ ზემოყვანილი პროპაგანდისტი დაიძახებდა „ არ მოგატყუონ ამხანაგებო, მუშათა პარტია პირველი ნომერია, მარტო ამას მიეცით ხმაო“ საწყალი გლეხი კი „მუშათა პარტიის“ გაგონებაზე ძალა უნებურად აგდებდა პირველ ნუმერს, მაგრამ იყო გლეხები რომელნიც სრული შეგნებით გაიძახოდა: „მე ჩემი მინდა, მეყო ამდენი მოტყუება, მომეცით მეორე ნომერიო“ და ყუთში უშვებდა.

დასასრულ დათვლილი გაუხსნელი კონვერტები გადაეცა საზოგადოების საარჩევნო კომისიას, შედეგები ჯერ გამოურკვეველია.

**ბიკტორ ხარაბაძე.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

# „საქართველო“

1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

**მისამართი:** თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა).

ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

ჟურნალზე

# „კავკასიის ქალაქი“

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო

**ორკვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.**

ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფ.

**ჟურნალი ღირს:** ერთი წლით — 36 მან., ნახევარი წლით — 18 მან., 50 კაპ. სამი თვით — 10 მან. ცალკე ნომერი 3 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თფილისი, სომხის ბაზარი № 6. ტელეფონი 7-31.

ჩვენს ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირნი:

არსესიძე მ., აზატიანი გ., არლუტინსკი გ., ალიბეგოვი გ., ბურჯანაძე ვ., ბროდსკი ბ., ბრიტნევი ა., ბეჟანოვი, ვირსალაძე ს., გიკ ნ., გომართელი ი., გეფშტეინი დ., გამალეი, დერკოვსკისა კ., ელიავა ნ., ესსენი ა., ირემაშვილი ი., იანოვიჩი, იაშკოვი, კანდელაკი კ., კიკალეიშვილი პ., კონიევი გ., კლეინი ე., კნაპპი, კალიუჟნი, მამრაძე გ., მადისონი, მარგველაშვილი ტ., ნანეიშვილი გ., რაზუმოვსკი ვ., რობაქიძე ს., რუხაძე როზანოვი პ., რიჩგოსკი-სავიჩი, ქავთარაძე პ., თოფურიძე, დ., თუმანოვი გ., ონიაშვილი დ., სალაყაია ი., სვანიძე ა., საყვარელიძე პ., საბახტარაშვილი კ., სულიაშვილი დ., სმირნოვი მ., შენგელია-ქიაჩელი, შარაშენიძე ვ., ღლონტი ო., ჯაჯანაშვილი ა., ტრეიმანი, ტრივუსი, ფეხნერი ფ., ჩერქეზიშვილი.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.